შინაური საქმეები

№ 36

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

ყოველ-კვირეული გაზეთი

„ეს ჩემი საქმეებია“

ხელს მოწერა მიიღება ადგილი რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სადგურ-თან, ბაზარში, სამლინაურის შუბის მაღაზიაში. გამოდის ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ანგ. ხელის მოწერილებს ეთხოვენ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

ფასი: | | ნახ. წლიათ: | | 2 მანეთი. | | 2 მანეთი და 10 შაური.

3 მანეთი.

ადგილი: ქუთაისი: „შანაური საქმეებს“ რედაქცია.

ყოველ-კვირეული გაზეთი

კვირა, 6 ნოემბერი 1911 წელი

შინაარსი: 1) სიტყვა, თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო გიორგის მიერ ქუთ. საკათ. ტაძარში ნ. ზ. ცხვედაძის დაკრძალვის დღეს განსვენებულის პანაშვიდზე; 2) სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ—გაზ. „კოლხიდისა“; 3) ქუთაისის გუბერნატორის გენ—ლ სლავოჩინსკის წერილი; 4) კვირიდამ-კვირამდე; 5) მამა ოლიმპი (გაგრძელება) მღ. ს. მაჭარაშვილისა; 6) ურთიერთშორის მხილების შესახებ—რ. ქართველიშვილისა; 7) რას გვწერენ? ა) მღ. კ. ანთაძისა ბ) გეგუთელისა; 8) სვანთა სულის უკვდავების რწმენა და მათი ლიფანალი—მღ. გიორგ ძიმიტარიშვილისა; 9) კიდევ ღია წერილი ოზურგეთის მაზრის მისიონერს თ. მელქისედეკ ნაკაშიძეს—ქაჯეთელისა; 10) შინაური სექმეების ფოსტა.

სიტყვა

თქმული იმერეთის ეპისკოპოსის, ყოვლადსამღვდელო გიორგის მიერ ქუთაისის საკათედრო ტაძარში ნ. ზ. ცხვედაძის დაკრძალვის დღეს განსვენებულის პანაშვიდზე.

—

გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა სიკვდილმა ჩვენ არ დაგვახანა და კიდევ მოგვთხოვა სამშობლოს მოღვაწეთა წრიდან ახალი სხვერპლი. ჯერ კიდევ არ გაცრეცილა პატიოსანი მამულიშვილის, დავით სარაჯიშვილის საფლავი და აი, ღღეს, იქვე—დიდუბეში, დავითის გვერდით აბარებენ მიწას ნიკოლოზ ზებედესძე ცხვედაძეს,—ძვირფას მეგობარს სარა-

ჯიშვილისას, მის შინაურ მრჩეველს და მარჯვენა ხელს საქველმოქმედო საქმეებში. ანდერძი დავითისა იყო, რომ ნიკო საფლავშიც ახლო ყოლოდა, როგორც ძვირფასი და განუშორებელი ამხანაგი.

როდესაც ნიკო საქვეყნო საქმეს კიდებდა ხელს, ბევრს ეგონა, რომ იგი სულაც არ ფიქრობს მატერიალურ საშვალებაზე, ურომლისოთაც ყველა მისი განზრახვა ფუჭათ უნდა დარჩენილიყო. როდესაც იგი იწყებდა თფილისის თავად-აზნაურთა გიმნაზიის—მილიონათ ღირებულს—ახლანდელ შენობას, ბევრნი ეჭვის თვალით ეკითხებოდენ: სადა გაქვს კაცო, ფული ამ დიდებული საქმის განსახორციელებლათაო? ხოლო იგი მშვიდათ, სიყვარულით სავსე თვალებს შეანათებდა მოსაუბრეს და მიუგებდა: ფულს ყოველთვის ვიშოვი, ოღონდ სხვა მხრით ნურავინ გადამეღობება წინო. მართლაც და ფულს ყოველთვის შოულობდა. ვერც ერთი ქართული ფინანსიური დაწესებულება, ვერც ერთი შეძლებული ქართველი, როგორი ძუნწი და წუწურაქიც უნდა ყოფილიყო იგი, ნიკოს უარს არ ეტყოდა შემწეობაზე საქვეყნო საქმისათვის. ასეთი ძალუმი იყო მისი მჭერმეტყველური თხოვნა სამშობლოს კეთილი მიზნისთვის. დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს და არც ძალმიძს, რომ ღირსებულათ დავასურათო ნ. ცხვედაძის საზოგადო მოღვაწეობა. ამას შეასრულებენ ჩემზე უკეთ სხვები, მე, როგორც მის ნამოწაფარს, მსურს ცოტათი მაინც გაგაცნოთ ეს პატიოსანი ადამიანი, როგორც თფილისის სემენარიის მასწავლებელი წარსული საუკუნის სამოცდამეათე წლებში. ნუ დამძრახავთ ამ სურვილისათვის. თფილისის სემენარიას წარსულში საკმაოთ შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე.

კარგათ მოგეხსენებათ, როგორი აღფრთოვანებით წინ მიიწევდა მთელი რუსეთის საზოგადოება ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორის რეფორმებს შემდეგ. ამნაირი მიზნებითვე იყო გამსჭვალული იმ დროის ქართველი მოწინავე საზოგადოებაც. აღფრთოვანება და იდეური გატაცება უფრო ეტყობოდა მაშინდელ ჩვენ ნასწავლ ახალთაობას, რომელიც ბრუნდებოდა რუსეთიდან სამშობლოში. ამათ რიცხვში ერთი უკეთესთაგანი იყო განსვენებული ნიკო. ის დაუბრუნდა თავის აღმზდელ—დედა სემინარიას, რომ მისთვის მიეძღვნა პირველი თაიგული თავისი შემოქმედებითი ძალებისა. თუმცა მას ხეთა წილათ ისეთი საგნების სწავლება, რომელიც მონათლული იყო სქოლასტიკის სახელით, მაგრამ მან ისეთი ხასიათი მისცა ამ სწავლებას, რომ აგრეწოდებული უკანა სკამებიც კი გულმოდგინეთ სახეგაბრწყინავებული უსმენდენ მას. ნიკოს თან მოყვენ ამავე სემინარიაში სამოღვაწეოთ აკადემია დამთავრებული რამდენიმე ქართველი და რუსი. აქ დაუხვდათ მათ წინათ დაბრუნებულნი, მათშორის ჩვენი სახელოვანი პედაგოგი, სემენარიის ენაზე „ბელადათ“ წოდებული ი. ს. გოგებაშვილი. გაჩაღდა ნამდვილი ერთობა—ძმობა და მამაშვილობა მასწავლებელ-აღმზრდელთა და მოწაფეთა შორის.

ნიკო და მისი თანამოაზრენი მარტო სემენარიაში მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდენ. არ კეთდებოდა არც ერთი საზოგადო საქმე, რომ ამ ჩვენი სემენარიის მასწავლებლების ჯგუფს არ მიეღო მონაწილეობა. ამ ჯგუფის მეოხებით შეგირდებიც იღებენ მონაწილეობას იმ დროის საზოგადო საქმეებში, მაგ. ჟურნალ-გაზეთებში, წარმოდგენებში და სხ. იმ ხანებშივე დაარსდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება. ამ დიადი საქმის მოთავე იყო ი. ს. გოგებაშვილი და პირველი მისი თანამშრომელი კი ნ. ცხვედაძე.

მაგრამ სემენარიის ბედის ჩარხი მალე სხვანაირათ დატრიალდა. ნიკოსაც და მის თანამოაზრეთაც უნდა მოენახათ თავისი მოებედებისთვის სხვა ადგილი. ის, რაც ვერ იგუა სემინარიის კედლებმა, გამოტანილ იქნა საქვეყნო ასპარეზზე. ნ. ცხვედაძემ თავისი პედაგოგიური ნიჭი აამუშავა სხვა სასწავლებლებში, რომელიც არა თუ არ უშლიდა, არამედ ხელს უწყობდა მშობელი ერისათვის სასარგებლო მოღვაწეობას.

რა გააკეთა განსვენებულმა, რისთვის არ

უნდა იყოს მისი ხსენება დავიწყებული მის სამშობლოში, ბევრმა თქვენთაგანმა კარგათ იცის და ვინც არ უწყის, იგი ამოიკითხავს ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ კი ახლა შევასრულოთ ერთი ჩვენი მოვალეობათაგანი განსვენებულისადმი: შევეეედრნეთ უფალსა რათა სული ახლათ გადაცვალებულისა ნიკოლოზისა დაამკვიდროს, სადაცა მისი მშობელი ერის მართალნი განისვენებენ.—

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ. *)

ჩვენ სრულიად შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში გაზეთი „თემის“ № 24, ვამბობთ, სრულიად შემთხვევით იმიტომ, რომ ჩარხის უკულმა ტრიალმა ისეთ დუხჭირ პირობებში ჩაგვაგდო, რომ გაზეთი ჩვენთვის აკრძალული ხილია. გაზეთის ნაფლეთმა და ისიც ქართულისამ მეტის მეტათ გვასიამოვნა, მაგრამ წაკითხულმა კი უზომოთ აგვაღელვა ამით სახეში გვაქვს „თემის“ № 24-ში მოთავსებული წერილი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა და მისი წინამძღვრის სომეხი ბენედიკტე ჩილინგარიანის შესახებ. ამ მონასტერსა და ჩილინგარიანზე „სახალხო გაზეთსა“ და „კოლხიდაში“ თავის დროზე წერილებიც ყოფილა, მაგრამ სამწუხაროთ, მათი წაკითხვა ჩვენ ხელთ არ იყო. „თემი“ გვაუწყებს, რომ სტამბოლში ქართველ კათოლიკეებს მდიდარი და მშვენიერი მონასტერი ქონიათ; მონასტერთან საუცხოო წიგნთსაცავი, ქართული სტამბა და მშვენიერათ მოწყობილი ქალ-ვაჟთა შკოლა ყოფილა, სადაც სწავლა ქართულსა და ფრანგულ ენაზე სწარმოებს თურმე. ამ მონასტრიდან ბევრი ცნობილი ქართველი მოღვაწე გამოსულა. დღეს რაღაც ოინებით ამ მონასტრის წინამძღვრობა ვიღაც ბნელ პირს, სომეხ ბენედიკტე ჩილინგარიანს, ვარდიძეთ წოდებულს, ჩაუგდია ხელში და მისი მეცადინეობა—შთაგონებით ადგილობრივი კათოლიკეთა ეპისკოპოზ სარდის უკვე აუკრძალავს მონასტერში ქართული წირვა-ლოცვა, ჩამოურთმევია მონასტრისთვის ზედმიწერილი ეკლესიები, მდიდარი სახლები და ადგილები; აგრეთვე მოუნდომებია დაეხურა მონასტერთან არსებული ქართულ-ფრანგული სასწავლებელი. ადგილობრივი ქართველებისა და ფრანგული გაზეთების პროტესტისთვის ყურადღება მიუქცევია რომის პაპს და ეპისკოპოზი სარდი რომს დაუბრუნებია. ჯერ არ ვიცით, საქმე რითი გათავდა. ჩვენ კი, ვუერთებთ რა სტამბოლელ ქართველ კათოლიკეთა პროტესტს ჩვენ მეტათ აღშფოთების ხმას, ჩილინგარიანის უგვანო და საზიზღარი მოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი საღვდელოება, ჩვენი შკოლების წარმომადგენელნი, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი საზოგადო კულტურული დაწესებულებანი და აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი ინტელიგენტი ქართველობა, ხმას აღიმაღლებენ, პრესისა და სხვა საშვალებით ჩილინგარიანის მოქმედებას სასტიკათ გაიცხვენ, ზიზღს გამოუცხადებენ და, ამრიგათ, ქართველი ერის ხმას სტამბოლელი ქართველების ხმას შეუერთებენ და ენერგიულათ მოითხოვენ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრიდან ჩილინგარიანის სრულიად განდევნას. საჭიროა ჩვენი აღშფოთება-პროტესტი პარიზისა და რომის ერთ-ერთ გავლენიან-გავრცელებულ გაზეთში დაიბეჭდოს. რა უნდა, რა ზნეობრივი უფლებით თარეშობს ბ-ნი ჩილინგარიანი ქართველების მონასტერში? საკვირველია ღმერთმანი, „ჩილინგარიანების“ ავან-ჩავანი: კისრზე გვაჯდეებიან შინ, არ გვასვენებენ გარეთ, როდის, როდის დაგვანებებენ თავს? მაგრამ ღვთის წინაშე, მართალი რომ ითქვას, ახია ყოველიფერი ჩვენ-თავს. ჩვენ უენერგიო, დაუდევარი, წინდაუხედავი ვართ, ადვილათ ვაჯაბნებიებთ თავს სხვებსა, თავის დროზე განსაცთელას კვამლს ანგარიშს არ ვუწევთ და როცა ალი

*) ვბეჭდავთ ამ ფრიად საყურადღებო წერილს გაზ. „კოლხიდიდან“ და ჩვენი სამღვდელოების ყურადღებას მივაქცევთ მსგავს მოვლენაზე ათონის იერიის მონასტერში, რომელზედაც ჩვენ ვწერდით „შინ. საქმეებში“.

მოგვედება, საქმე ხელიდან წასულია, ყვირილსა და ტირილს ავსტეხთ. გავიხსენოთ თუნდა ჩვენი მონასტერ-ეკლესიების ბედ-იღბალი, მათი გაცარცვა-გაყვლეფის ისტორია და ჩვენი მიუტევებელი გულგრილობა და ამავე დროს ხომხების ენერგიული ბრძოლა წარმეული ეკლესია-მონასტრების დაბრუნებისათვის და ამ ბრძოლის შედეგი. ჩვენ კი იმდენათ დაბეჩავებული ვართ, რომ ჩვენ მაგიერ სხვები იღებენ ხმას და ჩვენ მოსარჩლეთ, ნამდვილ აპეკუნებათ გამოდიან. ამის შესახებ იმავე „თემში“ № 24 მშვენიერი წერილია მოთავსებული, რომლის წაკითხვა ბევრს რასმე დამაფიქრებელს იწვევს მკითხველისაგან. დროა, საღათას ძილს თავი დავახწიოთ! დროა, ჩვენ ჭირ-ვარამზე საკუთარი ჭკუა გონებით თვითონ ვილაპარაკოთ და არ ვაფიქრებიოთ ჩვენ მტერსა და მოყვარეს, ქართველები ჯერ მოუმწიფარი, საპეკუნო ბალღები არიანო.

მისა კ—

კარგარეთელი. მ. ვ. კარბელაშვილი დარჩა მასწავლებლად მოსამზადებელს კლასებში.

ექსარხოსი ინოკენტი გაემგზავრა პეტერბურგში 3 გიორგობისთვეს. ამბობენ საშობაოთ ისევ დაბრუნდებაო.

საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება მოხდება დეკემბერში, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე.

საქართველოს ეპარქიის საეკლესიო სკოლათა საბჭომ გაიწერა არქ. პიროსისგან შედგენილი სახელმძღვანელო 500 ცალი. ქუთაისში ეს სახელმძღვანელო იყიდება მთავრიეევის მაღაზიაში.

უწმ. სინოდიდან ჯამაგირების მოსამატებლად გადადებული თანხიდან იმერეთის სამღვდელოებას შეხვდა სამ ათას მანეთამდე; ქართლ-კახეთისას და გურია-სამეგრელოსას ორ-ორ ათასი. ეს ფულები სამღვდელოების კრებამ უნდა გაუნაწილოს უჯამაგირო კრებულებს.

ხმა დადის, რომ საქართველოს ექსარხოსი პეტერბურგში ყოფნის დროს, სინოდში აღძრავს საკითხს სამღვდელო პირების და ბალოჩინების არჩევითის წესების გაუქმების შესახებაო. რამდენათ ახლო არიან ეს ხმები სამართლესთან, არ ვიცით.

---

3 ნოემბერს მისმა მეუფებამ ყოველად სამღვდელო გიორგიმ საკრებულო ტაძარში პანაშვიდი მადაიხადა გარდაცვლილ ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებლად. განსვენებული დიდი პატიოსანი, ნანდვილი ქართველი და მოღვაწე კაცი იყო. აქვე მოგვყავს მისი მეუფების სიტყვა, პანაშვიდზე წარმოთქმული.

ინჟენერ ქურდიანის ხელმძღვანელობით წყალსადენი მოეწყო მოწამეთის მონასტერში, რაც მას ათას შვიდას მანეთამდი დაუჯდა. დიდი მადლობის ღირსია მ. არქიმანდრიტი ნესტორი, რომელმაც ითავა ეს საქმე. როგორც ძმები ისე მლოცველებიც დღემდი წვიმის წყალს ხმაროობდენ, რომელიც გროვდებოდა ეკლესიის სახურავიდან საგანგებოთ მოწყობილ ჭაში. ღღეის იქით ამ წყალს სარეცხისთვის თუღა დაუწყებენ ხმარებას.

მამა ოლიმპი.*)

მოთხრობა.

(გაგრძელება*).

III.

გავიდა ნახევარი წელიწადი ასიას და ტონიას გარდაცვალებიდან, მამა ოლიმპი იდგა მათი საფლავების წინ ისევ იმავე მწუხარე ფიქრებით, ისევ იმავე მწარე კითხვით... ტყვიასავით მძიმე ცრემლი არ ამსუბუქებდა მის უსაზღვრო მწუხარებას.

—მამაო, მამაო, მოისმა მის ახლო გაუბედავი, მაგრამ ცოტა საყვედურის კილოთიც წამოძახილი, ხმა იაკობისა, ეგრე არ შეიძლება! ასეთი ქარი და სიცივეა და თქვენ კი ამოდენი ხანი თავშიშველი დგეხართ! ხიფათი არა შეგემთხვესთ-რა!

იაკობი ოცს წელიწადზე მეტი მსახურებდა მამა ოლიმპისთან და ამ უკანასკნელმა იცოდა რა ამ მოხუცებულის სიყვარული და ერთგულობა, ნებას აძლევდა მას ხან და ხან თავისუფალი მოქცეევისა და ლაპარაკისას.

„რა ხიფათი უნდა შემემთხვეს?“ უნდოდა ეკითხა მამა ოლსმპის,—„გავციოდები? მოვკვდები? მით უკეთესი.“ მაგრამ ცოდვათ მიაჩნდა რა ასეთი ფიქრები, თავი შეიკავა მან ასეთის პასუხის მიცემისაგან.

მუხლი მოიდრიკა მან საფლავების წინ, წამოდგა, გადასახა მათ ჯვარი, დაიხურა ქუ-

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 34.

დი და ნელ-ნელა დაეშვა სერიდან, რომელზედაც მდებარეობდა სასაფლაო. ქარი და წვიმა თან და თან უმატებდა. მამა ოლიმპის თხელი ანაფორა ეცვა და საშიში იყო, რომ სანამდის შინ მივიდოდა სრულიად დასველდებოდა.

—მამაო, მოისმა ისევ ხმა იაკობისა, რომელსაც უნდოდა დაწეოდა მას, უკეთესი იქნება თქვენ აქ, ამ სადარაჯო ოთახში მოიცადოთ, მე ქოლგის მოსატანად წავალ, ხომ ხედავთ, როგორ წვიმს..,

—რას ამბობ მოხუცო,—მოფერებით მიუგო მამა ოლიმპიმ,—შენ სად წახვალ... რა დიდი საქმე იქნება, რომ ცოტა კიდეც დავსველდე—შაქარი ხომ არ ვარ რომ გავდნე. მივალ შინ, და დამალევინებს ცხელს ჩაის და გაცივებულიც რომ ვიქნე, გავხურდები და არა უშავსრა,

მამა ოლიმპი გაუდგა გზას, მოხუცი იდგა ერთ ადგილას და უყურებდა მას, სანამდის იგი თვალს არ მოეფარა, მოწყენილად აქნევდა რა თავს, მეტად ეცოდებოდა მას „თავისი მოძღვარი“. მამა ოლიმპი მივიდა შინ ისეთი დასველებული და გაყინული, რომ ძლივსღა ლაპარაკობდა.

დამ დაინახა რა იგი, შეშინებულმა მაშინვე იწყო მისი მოვლა, საჩქაროდ ჩაი დაალევინა მას და დააწვინა დასაძინებლად.

—მადლობა ღმერთს, მგონი, დაიძინა!—სთქვა მოხუცებულმა დ გამოვიდა რა ოთახიდან, ნელა გამოიხურა ოთახის კარები.—შენ, თეკლე,—მიუბრუნდა იგი იქვე მყოფს ქალიშვილს, რომელიც სტოლს ალაგებდა, ჭურჭელს ნუ არახუნებ, ოთახში ნელა გაიარ-გამოიარე, თორემ შენი მძიმე სიარულის გამო მთელი სახლი ინძრევა.

ამ სიტყვების დასრულება ვერც კი მოასწრო მან, რომ დერეფანში ისე ძალზე დააჯახეს შემოსასვლელი კარები, რომ თვით ღონიერი თეკლეც კი შეხტა.

—ღმერთო, წამოიძახა ანნა სიმონის ასულმა, ეს ვინღა მოდის!

—მოძღვარი შინ არის?—გაისმა ხმა ტანმაღალი გლეხისა, რომელსაც თმიდან და ტანისამოსიდან წყალი ჩამოსდიოდა და რომელიც ოთახის კარებში გამოჩნდა.

—რა საქმე გაქვს მოძღვართან? გაჯავრებულად ჰკითხა მას ანნამ, მისი ნახვა არ შეიძლება, იგი ავადაა.

— როგორ თუ არ შეიძლება? გააგრძელა გლეხმა,—მოხუცი ივანე მეწისქვილე კვდება, ზიარება უნდა.

— ის ხომ დიდი ხნის ავადმყოფია, ნუ თუ არ შეიძლება ხვალ დილამდისაც მოიცადოს? გააგრძელა ანნამ.

— კი შეიძლება, მაგრამ საშიშია...

უპასუხებდა გლეხი, მეტად არის შეწუხებული...

— ახლავე, ახლავე, მოისმა — ხმა მამა ოლიმპისა, რომელიც ნახევრად ჩაცმული გამოჩნდა ოთახის კარებში, —შენ სიმონ,— მიუბრუნდა იგი გლეხს, წადი ეკლესიის სადარაჯო ოთახში და უთხარი იაკობს ეკლესია გააღოს, მე ახლავე მოვალ იქ, წმ. ნაწილებს გამოვიტან და წავიდეთ ერთად.

— ჩემო თვალის სინათლევ! —ის იყო დაიწყო ანნამ, როგორ შეგიძლიან ამ წვიმაში ასეთს ოფლიანს წასვლა? ცოტა მაინც შეიცადე და მერე ცხენით წადი.

— გაჩუმდი დაო, — შეაჩერა იგი მამა ოლიმპიმ, —ნუ სცოდავ.

ძალიან შეიმაგრა თავი მამა ოლიმპიმ, მაგრამ ისე ძალზე გააცივა, რომ ორი დღის შემდეგ იგი ლოგინად ჩავარდა. ექიმმა შეამოწმა მისი ავადმყოფობა ფილტვების ანთებად და მასთანავე დაუმატა, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ავადმყოფის სისუსტეს და საერთო უძლურებასა, საეჭოა რომ მის სატკივარს მშვიდობიანი შედეგი ექნესო. ეს ექიმი დიდიხნიდან იცნობდა მამა ოლიმპის, არა ერთხელ უაქიმებია მისი განსვენებული ქალიშვილისათვის და დიდათაც აფასებდა ამ ღირსეულს მოძღვარს. მხურვალე ენგრიით შეუდგა იგი მის აქიმობას, მაგრამ ხედავდა რა სნეუ-

ლების ჩქარა გაძლიერებას, მცირე იმედს ამყარებდა იგი თავის ხელობაზედ.

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

ურთიერთშორის მხილების შესახებ.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პატივცემულო მ. რედაქტორო!

კაცი, კაცის მადლიერი ძალიან ძვირათ არის ქვეყანაზე. რაც უნდა კეთილი საქმე მიგიძღოდეს კერძოთ ვინმესთან, ან საზოგადო საქმეზე, გულს გარეშე არ ვიცი, თორემ გულით მადლობას ძვირათ გეტყვიან. ეს დაკვირება ძალიან შეთვისებული მაქვს. თქვენი გაზეთის საშვალებით ბევრი საზოგადო და კარგი კითხვები წამოაყენეთ, ბევრ საგულისხმიერო საგნებზე იყო მსჯელობა და, იმედია, კიდეც ბევრი რამ დაიწერება, მაგრამ შრომისა და საზოგადო საქმიანობისთვის თვით თქვენ იქნებით თქვენი თავის მადლიერი; სხვებისგან კი მადლობათ ჩასათვლელი არის, თუ ვინმემ დაწერილი წაიკითხა სავსებისაგან გულისა, აწონ-დაწონა, გულის ხმა ჰყო.

მე მინდა მრუდად მავალ მოძღვართა გასწორების შესახებ წამოყენებულ კითხვას ჩემი შეხედულებაც შევუერთო სხვებისას. ეს კითხვა ისეთი სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ამ კითხვის აღძრვისთვის, თუ პირადათ მე მადლობას გწირავთ, ფარისევლობით ნუ ჩამომართმევთ. ჩვენ ძალიან ბევრი ვიცით, ისეთი მოძღვარი, რომ ანაფორის ტარების ღირსი არ არის. ვინ უნდა გაასწოროს იგი? ღვდელთმთავრის ყურამდი ასისგან ერთი არ მიდის; ვინ იცის მათი უღირსების ამბავი? ისევ მათმა ღირსების მქონმა მღვდლებმა და მათმა მრევლმა. სავალალო და სამწუხაროა, როდესაც მრევლის სამოძღვროთ და გასასწორებლათ ნაკურთხი მღვდელი თვით გასასწორებელია. მემთვრალე, მემრუშე, ცრუ, მცონარი, მზვაობარი, თავხედი, კეთილის მოძულე, ბოროტის მოყვარე, მროკელი, უსასო, მცირედ-მორწმუნე სხვას როგორ უქადაგებს უარ ჰყავ ალნუსხული სისაძაგლეო? რაც ზოგიერთ მღვდლებზე გვესმის, იმის გაზეთის ფურცლებზე გამოაშკარავება შეუძლებელიც არის, რადგან მეტის მეტ ზიზღს მოგვრის კაცს. მოძღვარს ქადაგების უნარიც რომ არ ქონდეს, თავისი წმინდა ცხოვრებით, კეთილი ყოფაქცევით, მამაშვილური სიყვარულით მრევლს ისე შეიტკბობს, რომ სათაყვანებელი მოძღვარი შეიქნება. კარგი მქადაგებელი კარგია, მაგრამ მღვდლის კეთილი ყოფაქცევა სარკეა მრევლთათვის და უზნეო მქადაგებელზე, ერთი ათად და ასად მაღლა სდგას. უწმინდესი ზნეობის მქონმა განსვენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა, იმერეთის და მინგრელიის თითოეულ სოფელში ვინ მოსთვლის რამდენჯერ იქადაგა პირჯვრის წერაზე, ჯვარი ცხადად გამოისახეთ, პირჯვრის წერის დროსო, მარა დღესაც არავინ იწერს სწორათ პირჯვარს; ერთს შუბლზე კი მიიდებენ ხელს და მერმე აცაცუნებენ მკერდზე იქით-აქეთ და ამით ათავებენ. განსვენებულმა მთელი მეგრელია შემოიარა რევიზიით, ყოველ ეკლესიაზე პირჯვრის წერას უქადაგებდა შეგროვილ ხალხს, ბოლოს თვითონ გამოიყვანდა ბოვშებს, დააწერინებდა პირჯვარს და, როგორც უწინათ დაიწყებდა ბოვში ხელის იქით აქით ცაცუნს, ეტყოდა მეგრულათ: „ნუ უკვატუანქ ხეს“ (ნუ უკვატუნებ ხელო). ასე გახილავს. ღმერთმა შვიდობა მისცეთ იმათ, ვინც ანაფორაში თავისთავი უღირსად იცნეს და გაიხადეს. ის მოძღვარი, რომელიც სინიდისს გადადგომია, მარტო კუჭის მონა გამხდარა, თავის მოწოდება არ ესმის, ერთი ასს ჩირქსა სცხებს თავის მოძმე მოძღვართა, ის უნდა განიკვეთოს სამწყსოსაგან თვისისა, უკეთუ მხილებას არ მიიღებს და არ გასწორდება. ამას წინათ „კოლხიდის“ ერთ-ერთ ნომერში ამოვიკითხეთ: თფილისის ეპარქიის ამა და ამ მღვდელმა (სახელი და გვარი ეწერა, მაგრამ აღარ მახსოვს), თავის მრევლს ერთხელ თვითონ გადაახთევინა დრამა და, რადგან „კვიტანცია არ მიუცია, მეორეთ უჩივლა და პოლი-

ციის საშვალებით კიდევ მეორეთ გადაახდევინაო! ამაზე მეტი ყაჩაღობა იქნება კიდევ? ვამბობდი: ეს ტყვილი იქნება და უთუოთ მღვდელი გაზეთისავე საშვალებით თავს იმართლებს მეთქი. ვადევნე თვალი გაზეთს, მარა ამაოდ. რა საკვირველია, უზნეო მოძღვარი ყველაფერს იკადრებს. აქედან ცხადია, რომ ასეთი მოძღვრები პრესის მხილებას ბუზათაც არ ჩააგდებენ, იმ-ტომ, რომ ეს ვაჟბატონები გაზეთებს სრულიად არ კითხულობენ, და კიდევაც, რომ ძალაუნებურათ მოხვდეს და წაიკითხონ, ამითი ისინი გასწორების გზას არ დაადგებიან, თავს დამნაშავეთაც არ ჩაითვლიან, რადგან თავის თვალში დვირეს არავინ ხედავს. ამ საქმის სისრულეში მოყვანა სამღვდელოებათა ეპარქიალური კრების საქმეა. სახარებაში ასე სწერია: „უკეთუ კრებულისა არა ისმინოს იყავნ შენდა, ვითარცა მეზვერე და წარმართ“ დროა გაიწმინდოს ხვარბალი ღვარძლისაგან!...

რ. ქართველისშვილი.

რას გვწერენ?

ზემო იმერეთი. კვირას, 30 ოკტომბერს მობრძანდა ს. საღვინეში ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, ამ სოფლის ახალ აშენებული ეკლესიის საკურთხად. ეს ეკლესია სანახშირეს შტატის ეკლესიაზედ ზედმიწერ-ლია; ძველი, უვარგისის მაგიერად ხელახალი ხის პატარა, ლამაზი და მშვენიერი, მაღლობ ადგილზედ, აუგოთ აქაურ მკვიდრთ ეს ღვთის ტაძარი. კურთხევა ეკლესიისა დაიწყო 10 საათზედ, შემდეგ მისმა მეუფებამ სწირა და ნაწირვებს იქ მრავლათ თავ-მოყრილ ერთ მიმართა სიტყვით, რომელიც დაახლოვებით შემდეგი შინაარსის იყო: „მომილოცავს ძმანო და შვილნო ამ თქვენი ახალი ეკლესიის კურთხევა! დღეიდან მასში თქვენი სულიერი მოძღვრისაგან ყოველ კვირა-უქმე დღეებში შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, ესე იგი წმიდა საიდუმლო ზიარება. დღეიდან შეძლება გეძლევათ თქვენ მოხვიდეთ ამ ღვთის სახლში, გაუხსნათ თქვენი სული და გული ღმერთს, შესწიროთ მადლი, მადლობდეთ მას მოწყალებისათვის, ილოცოთ სალხინებელად და სიმრთელისათვის და აგრეთვე შეავედროთ სულნი მიცვალებულთანი, რომ ღმერთმა განუსვენოს მათ სასუფეველსა თვისსა. თვითეული თქვენთაგანი წარმოადგენს საყდარს უფლისას, სადაც დაასადგურებს მადლი სულისა წმიდისა; თუ იგი განსპეტაკებულ-განწმენდილია და თუ იგი, გული თქვენი, აშმორებული, აყროლებული და ასუნებულია, მაშინ როგორც ჩვენ ვერიდებით სულიან ლეშს, ისე არ დადგება თქვენში ღმერთი, ამისათვის ყოველთვის საჭიროა გული წმინდა გქონდესთ. ოქრო რა არის, იმასაც კი სჭირია გაფერვა. ასეევე სჭირია ჩვენს სულს გაწმენდა. თუმცა ბევრი ხარჯი გაგსვლიათ ამ ეკლესიის გაკეთებისათვის, მაგრამ აწიც თან-და-თან უნდა სცდილობდეთ იმის შემატებასა და გამშვენებაზედ, მაგალითად არ გივარგათ სახარება, რომელსაც ყდა შეცვეთილი აქვს, ჯვარი, ლახვარი და სხ. ამისთანაების შეძენას ბევრი არაფერი დასჭირდება და იმათ უქონლობაც სიღარიბის ბრალი არაა. კურთხევა უფლისა თქვენზედა. ამინ“.

ამავე დღეს, წირვაზედ, განიცადენის დროს იქადაგა ამავე ეკლესიის მღვდელმა მ. ი. გველესიანმა, რომლის სიტყვა აქვე მოგვყავს სიტყვა-სიტყვით.

მდვდელი კ. ანთაძე.

—

სიტყვა მღვ. ი. გველესიანისა.

ვითარ საყვარელ არიან საყოფელნი შენნი უფალო ძალთაო? სურის და მოაკლდების სულსა ჩემსა ეზოთა მიმართ უფლისათა. გული ჩემი და ხორცნი ჩემნი იხარებდეს ღვთისა მიმართ ცხოველისა.

ესეთი დიდებული და ღრმა მნიშვნელოვანი სიტყვები აღმოდიან ბაგეთაგან იმისა, რო-

მელიც სულიერად გაბრწყინვებული იყო სულის წმიდის მადლით ვითარცა წინასწარმეტყველი და ხორციელად იყო გარემოცული ყოველგვარი ქვეყნიური კმაყოფილებით და აღჭურვილი ყოველივე უფლებებით, ვითარცა მირონცხებული მეფე ებრაელთა. რა იყო მიზეზი იმისა, რომ ეს მეფე და წინასწარმეტყველი დავით, არაფრად არ აგდებს თვის ქვეყნიერ ცხოვრებას სამეფო სახლში და მიისწრაფვის სულიერ, იქ, სადაც განსაკუთრებით იმყოფება უფალი ღმართი. ესე იგი ტაძარში?! რასაკვირველია იმისათვის, რომ ქვეყნიური ცხოვრება და ბედნიერება წარმავალია და არის შემზადებული იმ საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელსაც საღმრთოწერილი უწოდებს სასუფეველს რომელს ნათლად აღწერს იგი სულის წმიდის მადლით აღბეჭდილ წიგნებში; ეს წიგნები კი იკითხებიან ეკლესიაში, საითკენაც მიივლტოდა სულით და გულით მეფე დავითი, და საითკენაც უნდა მიისწრაფებოდეს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე. როგორი ძვირფასიც უნდა იყოს ჩვენი საცხოვრებელი ბინა, ის მაინც ვერ შეედრება ტაძრის სიმდიდრეს და მნიშვნელობას, ამისათვის ვალდებულია ყოველი ქრისტიანე იზრუნოს გაამშვენოს თვისი ეკლესია, სამუდამო ბინა ზეციური მამისა, სადაც ყოველ დროს გაისმის სწავლა, მიმყვანელი სასუფეველისადმი. „ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სამართლისა მისსა“ (მათ. 6, 37). ცხადად სჩანს აქედგან ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, რომ პირველი ყურადღება ჩვენი მიყრდობილი უნდა იყოს, აღვაშენოთ და გავაბრწყინვოთ სახლი უფლისა და მერე კი ჩვენი დროებითი საცხოვრებელი ბინა.

რადგან ესეთ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენდა და შეადგენს თქვენთვის ეონება ჯეროვანი ეკლესიისა, ამისათვის მადლობა ღვთისათა მიჰყავთ ხელი აგეგოთ შესაფერი ბინა უფლისათვის და კიდევაც ხედავთ მას დღეს დასრულებულს. საღმრთო ისტორია მოგვითხრობს ჩვენ, რომ ტაძარში მიყვანილ იქმნა ყ.-დ წმინდა ღვთისმშობელი მშობელთაგან, ტაძარში მიირქვა მკლავზე მოხუცებულმა სიმეონმა მაცხოვარი მხსნელი სოფლისა იესო ქრისტე. აქედგან ცხადზედ უცხადესად სჩანს უპირველესი მნიშვნელობა ეკლესიისა ყოველი კაცისათვის. იესო ქრისტე იყო ძე ღვთისა, დედა მისი უპატიოსნესი ქერუბიმთასა, მოხუცებული სიმეონი მართალი და წინასწარმეტყველი, მაგრამ ისინი მაინც მივიდნენ ეკლესიაში, მასში ლოცულობდნენ და მასში შესწირავდნენ მსხვერპლს, იქ იხარებდნენ სულიერად და იქ პირველად ულოცავდნენ ერთი მეორეს ყოველგვარ სულიერ კეთილ დღეობას და ჩვენ ცოდვილთათვის, რასაკვირველია, მით უმეტეს უძვირფასესი უნდა იყოს ეკლესია, მუდამ უნდა მივდიოდეთ იქ კვირა უქმე დღეებში სალოცავად, და ღვთის სადიდებლად. ჭეშმარიტად ძმანო ქრისტიანენო ეკლესია არის და უნდა იყოს თვითეული ჩვენგანისათვის ერთი უსაყვარლესი და უძვირფასესი ადგილი, ვითარცა იტყვის მეფე და წინასწარმეტყველი დავითი. ეკლესია მუდამ უნდა გვაერთებდეს სულიერის სიყვარულით და გვახარებდეს წუთიერი ცხოვრების სარბიელზე. ეკლესია ბევრ რაიმე კეთილს მოგვაწვდის ჩვენ, ის არის დედა, რომელიც გვშობს სულიერად ნათლისღებით და გვზრდის; იგი აბრწყინვებს ჩვენს ნამოქმედებს კეთილად და წაგვმარტებს სულიერად წმიდა საიდუმლოებში, როგორიც არიან; აღსარება, ზიარება, ქორწინება, მირონცხება და სხვა.

ყველაზედ უმჯობესი კი ის არის, რომ ეკლესია, როგორც ზემოთა ვსთქვით, გვაერთებს სულიერად სამღთო სიყვარულით ვხედავთ რა, რომ ცხოვრება წუთიერი გვაშორებს ერთიმეორეს, სთესს ღვარძლს ურთიერთ შორის და ეკლესია კი გვაერთებს სარწმუნოებით, ჭეშმარიტებით და სიყვარულით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ეკლესია იმისთვისაა განმანათლებელი, სულიერად წამმარტებელი და გამაბედნიერებელი, ვინც ხშირად დაიარება იქ, და გულმოდგინეთ ისმენს მას, რასაც იქ კითხულობენ და გალობენ. არავი-

თარი სწავლა არ შეეძრება იმ სწავლა-დარიგებას, რომელსაც წმიდა ეკლესია გადმოგვცემს, თუმცაღა ცოდნა, სწავლა და განათლება არის უმთავრესი საზოგადო სურვილი ეხლა ყოველთა კაცთა, მაგრამ „უშჯობეს არს მოკლებული სიბრძნითა (სწავლითა) შიშითა ღვთისა, ვიდრეცა წარმატებული სიბრძნითა (სწავლითა) და გარდამხთომელი სჯულისა (ზირაქ 19, 21). და ნამდვილად სწავლა და მეცნიერება კაცს ღმერთთან უნდა აახლოებდეს ისე, როგორც ეკლესია, და არა აშორებდეს მას.

თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, რომელთაც აღაშენეთ ეს ეკლესია მ- იქეცით ასე, გსურსთ, რომ მან მოგიტანოსთ უდიდესი სარგებლობა, რადგან ამდენი შრომა და ხარჯი მიიღეთ ახალი ეკლესიის აგების თვის, ეცადეთ რომ მისი შემწეობით განახლდეს თქვენი სულიცა და გულიც ღვთის წინაშე, და ის მადლი და სიწმინდე, რომელიც ამიერითგან იქნება ამ ახალ ეკლესიაში თან-და-თანობით გადმოვიდეს თქვენზედ.

აწ გფარვიდეს ბოროტებისაგან და ეკლესიის განშორებისაგან მადლი უფლისა ღვთისა რომელმაც მოგცათ შეძლება აგეგოთ ეს ღვთის სახლი და მადლი იმ ნათლით მოსილი მწყემსთ მთავრისა, რომელმაც, დაგრთოთ ნება ამ ტაძრის კეთებისათვის და დღეს კი ნათლით მოსილი მარჯვენით გიკურთხათ იგი. ამინ.

—

სოფ. გეგუთი. სწორეთ რომ ბედნიერი იქნებოდა სოფლის ხალხი, რომ ზოგიერთი თავზე ხელადებული ბლაკატები არ აფუჭებდენ საქმეს. როგორც მოგეხსენებათ, სოფელში ჭინჭყლი მოშარე ადამიანი არ გამოილევა, მთელი სოფელი რომ რასმე სასარგებლო დადგენილებას მიიღებს, გამოვარდება ერთი შარიანი ყმაწვილი მოსძებნის ნასწავლ კაცს, დაიყენებს ვექილად დი დაიწყება ერთი წეწვა-გლეჯა სოფელსა და ამ შარიან ყმაწვილსა და მის ვექილ შორის. ასე მოუვიდა სწორეთ სოფ. გეგუთსაც. აგერ რამდენიმე წელიწადია, სოფელმა განაჩენი დაადგინა და ეკლესიის შენებას შეუდგა, ძველი ეკლესია უვარგისობის გარდა, იწროც გამოდგა და ვერ იტევდა მლოცველებს. ორას ოც კომლ სოფლის მცხოვრებთაგან გამოითიშა ცხრამეტი კომლი კაცი, რომლებიც 15—50 საჟნის მანძილზე ახლავან ახალ ეკლესიას, და პირველთა შორის არიან ხელმოწერილნი სოფლის განაჩენზე და დაიწყეს შარები: რომ იგინი კმაყოფილნი არიან ძველი ეკლესიით და თანახმა არ არიან ეკლესიის შენებისა. იშოვნეს ვექილი და გოუდგენ საჩივრების გზას. ბევრი იჩივლეს, ბევრი დახარჯეს, ვექილსაც, რა თქმა უნდა, შესაფერ სასყიდელს მისცემდენ, და ბოლოს საქმე იმ ზომ მდე მიიყვანეს, რომ ყოვლად სამღვდელომ მღვდელმოქმედება აუკრძალა გარდა საჭირო ნათვლა-ზიარებისა. მის მაგიერ, რომ თავი მოედრიკათ მეზობლებთან ერთად უღელი გაეწიათ, ეკლესიის ასაშენებელი ხვედრი გადასახადი შეეტანათ, რომელიც, სიტყვაზე ვსთქვათ, არ აღემატება 20—50 მანეთს კომლზე, და დაწყნარებულიყვენ, უთუოდ თავის ვექილის და ხელმძღვანელის შემწეობით დიდი გრძელი თხოვნა გაუჭანდრაკებიათ და კონტორის პროკურორისთვის მიურთმეიათ, აქაო და ეპისკოპოსი გიორგი ქრისტიანობას გვისპობს მღვდელმოქმედებას გვიკრძალავს, საშველი არ გვაქვს უნდა გავთათრდეთ, ჩვენ განაჩენზე თანახმა არ ვყოფილ-ართ, ჩვენი დარბევით უნდათ ეკლესია ააშენონო. დარწმუნებული ვართ მისი მეუფეგა შესაფერ პასუხს მისცემს ამ უთავბოლო უაზრო თხოვნის შესახებ და სინოდის კანტორაც არ შეეხება ადგილობრივ მღვდელმთავრის განკარგულებას, როგორც ამას ბრძანებს მოციქულთ. და მსოფლიო კრებათა კანონები. მაგრამ ჩვენ კიდევ სხვა რამ გვაკვირვებს, სახელდობრ ის, რომ თუ ბ ნ მომჩივნებს ეკლესია არ უნდათ, მღვდელ-მოქმედება რაღა მოხელეა. ჯერ არ ნახულა ისეთი ქრისტიანი საზოგადოება, რომელსაც ეკლესია არ ქონოდეს. ეკლესია თუ არ ექნებათ, ხის ძირში ხომ ვერ შეუსრულებსთ მღვდელი მღვდელ-მოქმედებას?

მაგრამ ეს სულ მათი ბრალიც არ არის;

აქ სხვა უფრო დახელოვნებული თავი და ხელი მუშაობს, რომელსაც არ ესმის, თუ რა ცოდვას ჩადის, როცა მეზობელ აანაძმებს ერთმანეთზე ამხედრებს. შესაძლებელია საქმე იმ ზომამდე მივიდეს, რომ გამდგარი გლეხები სრულებით მოიცილოს თავიდგან საზოგადოებამ, არ მიეკაროს მას არც ქორწილში და არც ლხინში, არ მიიკაროს ეკლესიაზე, თემზე, მაშინ რას ემგვანება მათი ცხოვრება? განა შეიძლება 200 კომლის წინააღმდეგ 19 კომლი კაცის ახედრება?

გამდგარ გლეხებისადმი ჩვენი გულწრფელი რჩევაა, ნუ გამოეთიშებიან მეზობლებს, ნუ აყოლიან ვილაც „თავის ერო" კაცს, იცოდენ, რომ შორეულ მდიდარ მოყვარეს ახლობელი ლატაკი მეზობელი სჯობია, იცოდენ, რომ გაჭირვების დროს მხოლოდ იგინი იქნებიან მათი შემწე-დამხმარენი, კარგათ გაითვალისწინონ, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანესათვის ეკლესია ისეთივე საჭიროა, როგორც თევზისათვის წყალი. ნურც დაიჩემებს ქრისტიანობას ის კაცი, ვინც სამლოცველო სახლი არ იცის. ტყუილათ ხარჯავენ საჩივარში ფულს, მოვა დრო და იძულებული იქნებიან, თუ თითონ არა, მათმა შვილებმა მაინც, ბოდიში მოიხადონ და ძმობა ითხოვონ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ორასი კომლი კაცი ბევრათ არ დაიმჩნევს 19 კომლის დაკლებას, ხოლო ცხრამეტისათვის ორასი დიდი დასაკლისია.

დღეს ეკლესია უკვე დასახურავათ მზადდება, მიუხედავად იმისა, რომ გამდგარ ცხრამეტ კომლ კაცს არაფერი შემოუტანია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშენებელი ხალხი ცხრამეტი კომლის დაკლებას არაფრათ იმჩნევს და ჰგავს უმისოთაც მალე მოიყვანს სისრულეში დაწყებულ საღვთო საქმეს. სულ ერთი წლის შემდეგ დასრულდება შენობა და მაშინ რა გუნებაზე დადგება გამდგარი ხალხი თავისს წინამძღოლით, თუ გინდ დღეს მთავრობამ კიდეც გაათავისუფლოს ეკლესიის შენებისაგან?!...

ბებუთელი.

სვანთა სულის უკვდავების რწმენა, და მათი ლიფანალი *).

ნათლის ღების წინა დღეს, რომელიც ქრისტიანისათვის არის დიდი მარხვა, ამ დღეს სვანები დილითგან შეუდგებიან, ოჯახის სამკაულების წმენდა-რეცხას, არ დარჩება ოჯახში საჯდომი სკამებიც გაურეცხელი. მთელი დღე დიდი და პატარა მარხულობენ, ერთი სიტყვით ელიან უძვირფასეს სტუმრებს,—საღამო ჟამს დაიწყებს დიასახლისი პურების ცხობას, მოამზადებს ყოველივე სამარხო სანოვაგეს. როგორც შეღამდება, დადგმენ გრძელ ტაბაკს, მაზე დააწყობენ პურებს რიგ-რიგად, საჭამადს ჯამებით დადგმენ, სკამები წინეთ გამართულია. ჩხირ-სანთლებს მოუკიდებენ და ტაბაკზე მიაკოსებენ, ოჯახის უფროსთაგანი აიღებს სამს პატარა პურს საგანგებოდ ამ დანიშნულებისათვის გამომცხვარს, ჩააწყობს პატარა კარვაში**) თან ნათაურ არაყს ბოთლით კიდევ ჩადგამს პურთან და გასწევს, სადაც მისი ძველი და ახალი მკვდრების სასაფლაო ეგულება. იქ აღამაღლებს კარვას და შეეხვეწება მისი ძველი და ახალი მკვდრების სულებს: „გთხოვთ და გევედრებით, წამობრძანდით სახლში და გვიმსახურეთ რაც შეძლება გვაქვს და ამითი გააბედნიერეთ ჩვენი ოჯახი". მერმე მობრუნდება წალმა და შენალოცი პურები და არაყი თან მოაქვს. არაყს კი გზა-გზა აწვეთებს, რასაც სულები გამოყვებიან, ასე შემოვა სახლში. აქ ტაბაკი გამართულია და სამთლები გაჩირაღდნებულია, სკამები უფროსის რიგად დადგმული. შემოუვლიან გარს ამ სკამებს სულები და თავთავის რიგზედ დასხდებიან; კათხები არაყით სავსე, წინ უდგანან. სულის მომწვევი, ე. ი. დამპატიჟებელი და მთელი ოჯახობა ერთ კუთხეზე მიიკუნჩხებიან, და არის სიჩუმე რამოდენიმე წამი. ბოლოს წამოდგება ის სულის მომწვევი პირი. აიღებს კათხას თავს წაუქცევს და იტყვის: „შეუნდოს ღმერთმან ჩვენი ოჯახის ძველ და ახალ სულებსო. დანარჩენი კათხებით

*) ლიფანალი საკურთხია სვანურად. **) კარვა პატარა კოთხოს მსგავსი ჭურჭელი.

სხვებიც შენდობას შეუთვლიან, ამ დამზადებულ სანოვაგეებიან, გადმოალაგებენ და თვითონ შეექცევა მადიანათ მრთელი დღის ნამარხულევი ჯალაბობა. სკამები და ტაბაკები ისევ აუშლელად დგას, ვინემ სტუმრები არ წავლენ, ვერავინ დაჯდება იმათთვის გამართულ სკამ-ტაბაკზედ, პატარა ბავშვებსაც აკრძალული აქვთ. იმ მხრით გავლა-გამოვლა, რადგან სტუმრები იქით სხედან მათის რწმენით. პირველ ღამეს ხომ სამარხო საქმლით, უმასპინძლეს, მეორე დღეს, ე. ი. ნათლისღებისთვის იკვლება ცხვარი, ხბო, თხა, ქათმები და კვერცხები ბლომად. კიდევ დაალაგებენ გამართულ ტაბაკზე, რიგ-რიგათ საქმელებს, კათხებით სავსე არაყს დადგმენ, სამთლებს აანთებენ, ჯალაბობა ერთ კუთხით მიყუჩულია, არის სიჩუმე, თითქმის 15 წამი გასტანს, ანთებული ჩხირის სამთლები კიდეც დაიწვება. მერმე კიდევ წამოდგება ოჯახის უფროსი აიღებს კათხას და თავს წაუქცევს და შენდობას შეუთვლის, ეგრეთვე მრთელი ჯალაბობა. ამ ცერემონიით ატარებენ ერთი კვირე მომაველ ორშაბათამდი. რომელსაც „ჯოდი ჰამს“ უწოდებენ, ე. ი. „გრძელი დილა.“ ღამღამ-ბით, როდესაც სტუმრებს ვახშამს მიართმევენ, დამოუსვენებენ, ოჯახის უფროსი დაჯდება და ზღაპარს მოუყვება, და ამით შეაქცევს სულებს. ამას რომ გაათავებს, ჩანგს და ჭიანურს დაუკრავს, სანამ ძილი არ მოერევა. ამ პატივისცემით ეპყრობა სულებს. უკანასკნელ, ხვალ ორშაბათ დილა არის, ე. ი. „ჯოდი ჰამი“, დღეს დილით ადრე სულები მოემზადებიან, საუზმეს ადრე მიართმევენ და წაელენ, „ლალხორთე“, ე. ი. შესაკრებელ ადგილზედ, სადაც მთელი გადალმა სვანეთის სულები შეიკრიბებიან და აქვსთ სჯა ბაასი სვანეთის მომავალზე მთელი დღე. ლალხორი მდებარეობს კალის საზოგადოებაში და ამ სოფელს დღესაც ლალხორი ქვიან“ როცა სულების სჯა-ბაასი გათავდება, ისევ გასწევენ თავიანთ მასპინძლების ოჯახზე. იქ რასაკვირველია მასპინძელი განახლებული პატივისცემით ადრე ნამგზავრს სტუმრებს ვახშამს მიართმევს, და შეაქცევენ ზღაპრითა, „ჩანგით და ჭიანურით“. მეორე დილას, ე.ი. ორშაბათს, რომელსაც უწოდებენ „ჯოდი ჰამს“, წამოდგება ადრე მრთელი ჯალაბობა, ცეცხლს გააჩაღებს, საუზმეს გაამზადებს რაც კი შეიძლება, სტუმრებიც თავთავის ადგილას დასხდებიან და მიირთმევენ საუზმეს. მასთან ის პირი წარმოდგება, რომელმაც სულები პირველად მოიწვია და დაუწყებს ბოდიშს: „მათ რომ შეშვენოდა ისე წრეულს ვერ დაუხვდენ და მათი საკადრისი პატივი ვერ სცეს, მაგრამ გაისად იმედი გვაქვს უფრო კარგათ მომზადებული დაგიხვდებით და უფრო პატივისცემით გაგისტუმრებთ“ და სხვანი. ბოლოს აიღებს რძით სავსე ჯამს, გაუძღვება წინ სტუმრებს, გზაზედ რძეს უწვეთებს და ისე კარებამდი მიაცილებს. რძესაც გამოლევს, სტუმრებს გზას დაულოცავს, კარებს მიკეტავს და თვითონ სახლში შემობრუნდება. მოუსხდებიან სტუმრების დანარჩენ სანოვაგეს და მადიანათ შეექცევიან.

მდვდელი გაიოზ ძიმისტარიშვილი.

კიდევ ღია წერილი ოხურგეთის მაზრის მისიონერს თავადს მელქისედექ ნაკაშიძეს.

თქვენი წერილები, რომლებიც მოთავსებულები არიან „შინაური საქმეები“-ს ამ წლის ოცდასამს და ოცდათხს ნუმრებში, ისე არ უდგებიან, თქვენდამი მომართულს ჩემს პატარა ბარათს, *) როგორც მდინარე სუფსა მტკვარს. ამის გამო ჩვენ შორის სადაო საგნები ისევ სადაოდ რჩებიან. თქვენ ერთი საბუთიც არ მოგიყვანიათ ქართლ-კახურ გალობის კილოს უვარგისობისა და ქართლ-კახეთში საეკლესიო გალობის გაქრობა-დაკარგვისა. მართალია, მღ. პოლე კარბელაშვილის წიგნიდან ამოღებული სიტყვებით მოგვითხრობთ, თუ როგორ დაგიბარეს 1878 წ. გურიიდან თბილისში სხვებთან ერთად და როგორ იქენით გამწესებული გალობის მასწავლებლად სემენარიაში ნაცვლად კარბელაშვი-

*) იხ. «შინ. საქ.» № 12.

ლისა, მაგრამ აი სწორეთ ეს სიტყვებია, რომ ყელსა გჭრიან და მიწასთან გასწორებენ. თქვენ ვერ შეგიგნიათ, რამდენი ნაღველი, მწუხარება და უკმაყოფილებაა ჩაწნული მღ. პოლე კარბელაშვილის სიტყვებში: „რადგანაც მგალობლებად აირჩიეს ნაკაშიძე, ხაფთასი და კონტრიძე, ჩვენ, ძმები, კარბელაშვილები, ჩამოვეცალეთ გალობის საქმეს 1882 წლის იანვრის პირველამდე“-ო **). კარბელაშვილის რწმენით თქვენა და თქვენი ამხანაგები აგირჩიეს მგალობლებად არა იმიტომ, რომ თქვენი გალობა სჯობდა ქართლ-კახურ გალობას, არამედ იმიტომ, რომ ასე სურდა არხიმანდრიტებს მაკარს და გრიგოლს, რომლებთაც ამ შემთხვევაში ხმარობდა იარაღად გარეშე ძალა.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას კარბელაშვილი ამტკიცებს შემდეგი სიტყვებით: „1881 წ. დამლევს ჩამოველ ტფილისში, რომ გალობის საქმე როგორმე გამეღვიძებინა. 1882 წლის 1 იანვრიდამ ვიწყე გალობის სწავლება სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემენარიაში და საეპარქიო დედათა სასწავლებელში. სამ თვეზე მოწაფენი უკვე გალობდნენ მწუხრსა და წირვასა. გალობის საქმის საკეთილდღეოთ იმ გაზაფხულზედ უწმ. სინოდმა გამოგზავნა საეკსარხოსოს სასულიერო სასწავლებლების სარევიზიოთ გალობის ტრფიალი, რუსეთის ღირსეული შვილი ს. მიროპოლსკი, რომელმაც 1882 წ. 19 მაისს ოთხშაბათს მოისმინა ჩემ მოწაფეთა გალობა და სიმღერა, რისთვისაც მადლობა მითხრა როგორც მე, ისე ზედამხედველს სასულიერო სასწავლებლისას ბ. ეორდანიასა; დაგვპირდა — ქართული გალობის საქმეს, რაც შემიძლია, დავეხმარებიო. დაპირება აღგვისრულა კიდეც. ამავე წლის აგვისტოს გასულს ქალალდი მომივიდა სემენარიის სამმართველოდან—მგალობელთა გუნდები შეადგინე სასულიერო სემენარიაში და სასულ. სასწავლებელშიო. სიხარულით შევასრულე ეს მონდობილობა. ამგვარად კვლავ აიდგა ფეხი ქართულმა გალობამ სასულიერო სემენარიაში. თუ რა კეთილად წავიდა გალობის საქმე იმ ხანად, დაამოწმებენ მაშინდელნი მოსწავლენი და მასწავლებელნი“. ***) როგორ მოგწონთ, ეს „გალობის გამოღვიძება“, ქართული გალობის ფეხის ადგმა“ სემენარიაში შამა კარბელაშვილის მეცადინობით და უნარით, თუმცა თქვენა ბრძანდებოდით გამწესებული გალობის მასწავლებლად და ხელმძღვანელად?!

იქონიეთ მოქალაქობრივი გაბედულობა და ბძანეთ, რა ავტორიტეტი და დაფასება გქონდათ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის? თქვენ დღესაც თავი მოგწონთ და საქებურათ მიგაჩნიათ თქვენი ყოფილი მოწაფეები, რომ მოგაგონებენ ხოლმე ეგზემენების დროს, ნაცვლად მამაო ჩვენოსი, რომელნი ქერუბინთასი, დასდებლების და სძილის პირებისა, რომლებისაც მათ არა გაეგებოდათ-რა, როგორ ათქმევინებდით ხოლმე ქუჩურ სიმღერებს. ერთი გვიბრძანეთ, განა ესეთი თქვენი საქციელით ქართულ გალობას არა ლანძღავდით და მასხარათ არ იგდებდით? თუ თქვენი მასწავლებლობა სემენარიაში მთლად ფუჭე არ იყო ქართული გალობისათვის, გთხოვთ დაგვისახელოთ, რომელმა სემენარიელმა შეისწავლა თქვენგან გალობა? რომელი გუნდი გააწყეთ სემენარიის მოწაფეებისაგან, სად გალობდა იგი და როროგ შეხედნენ თქვენ გალობას ქართული საზოგადოება და პრესა?

თქვენ ამბობთ—ქართლ-კახეთის დიაჩოქების მასწავლებლათაც მე დამნიშნესო. შესაძლოა, მაგრამ დაასახელეთ თუგინდ ერთი დიაჩოქი კახეთელი, რომ თქვენგან უფალო შეგვიწყალენი მაინც არის დაესწავლოს. თითონ თქვენ გაგიბედნიათ კი როდისმე ქართლ-კახეთის სოფლებში გალობის თქმა?!

თქვენ იხსენიებთ, რომ თბილისის კომიტეტში, რომელმაც თქვენ აგირჩიათ მგალობლად, განსვენებული ეპისკოპოსი ალექსანდრეც ერიაო და ამითი ფიქრობთ დაგვაჯეროთ, ვითომც ხსენებული მღვდელმთავარი მომხრე იყო თქვენი. სიცრუეა. ეპისკოპოსი ალექსანდრე

**) ქართული საერო და სასულიერო კილოები. მღ. ს. კარბელაშვილისა გვ. 73.

***) საერო და სასულიერო კილოები გვ. 93.

შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო თქვენაცა და მაკარ-გრიგორისაც. თუ ამის შესახებ კარბელაშვილის ზემოთ დასახელებულ იგნში მოყვანილ ცნობებს არ იკმარებთ, გაისარჯეთ და გადაავლეთ თვალი ბ. [illegible] პ. ფალიაშვილის წერილს, რომელიც ჩართულია წინასიტყვაობის მაგივრად თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოებისაგან გამოცემულ იოანე ოქროპირის წირვის საგალობლების წიგნში.

რა გნებავს დაამტკიცოთ იმითი, ბ. მგალობელო, რომ თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანის წიგნიდან გადაგიწერიათ რამდენიმე გვერდი? მღ. პ. კარბელაშვილი ამტკიცებს, რომ სიმღერები: „ყურშაო", „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო", „ბედზედ დაგნატრი ბარათო", „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო", „დიდება", „ვინცა კაცია, არნანო, ჩოხა ჯაჭვია, თარნანო" და სხ. იმ დროისანი არიან, როდესაც ქართველები ჯერ ისევ წარმართები იყვნენ და მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ ამ საერო კილოებზე საეკლესიო გალობა მოაწყეს. რა მოსატანია აქ როსტომ მეფე და ყიზილბაშების ყიყინი"?! „საიდან სადაო", მელქისედეკ! წაკითხულს გაგება უნდა და გაგებასთან კი ძალიან პირშავათ ბძანდებულხარ, ბ. ლოტბარო. თქვენ რომ ისტორიულად გამოგვეკვლიათ, რომ ჩამოთვლილი საერო სიმღერები პირველად ხმარებაში შემოვიდნენ როსტომ მეფის დროს, დიაღ, ბ ტონო, მაშინ ხმა ალიარ ამოგვეღებოდა და თქვენი დასკვნა უნდა მიგვეღო, მაგრამ რადგანაც თქვენ ამ გვარი რამ აზრადაც არ მოგსვლიათ, სულ ტყუილათ გასჯილხართ დ. უაზროთ ამოგიღიათ ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანის წიგნიდამ ცნობები. მართალია, როსტომ მეფემ მრავალი სპარსული ჩვეულებებით შებღალა ქართველების ცხოვრება, მაგრამ განა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დასავლეთ საქართველოში ეკლესიური ცოდნა და ეროვნული შეგნება დუღდა და გადმოდიოდა? სრულებითაც არა. თვალი გადაჰკარით მარი ბროსეს ქართული ისტორიის მეორე ტომის 214 და 215 გვერდზე მოყვანილ შენიშვნებს და თქვენს გატაცებას დასავლეთ საქართველოში სარწმუნოების სისპეტაკის შესახებ ცივი წყალი გადესხმება.

ქაჯეთელი.

შემდეგი იქნება.

შინაური საქმეების ფოსტა.

ბ-ნ კ. ჩვერაძეს. თქვენი კორრესპონდენცია არც ძველი და არც ახალი არ დაიბეჭდება. თქვენ ისეთ ბრალსა სდებთ თქვენგან მიზანში ამოღებულ პირს, რომლის დამტკიცებას რედაქცია ვერ იდებს თავზე. თუ სიმართლე გალაპარაკებსთ, მიიქეცით სუდში და, გარწმუნებთ, უფრო ადვილათ გაუსწორდებით. უკანასკნელ თქვენ გამოგზავნილ დოკუმენტში ჩვენ ვერაფერს „პოდლოგს" ვერ ვხედავთ, აქ მხოლოდ ერთი მხრით ნდობაა და მეორე მხრით კი ან ღალატი ან დავიწყება. თქვენი უმარკო წერილი შეცდომით მიუღიათ რედაქციაში, რადგან ასეთ წერილებს რედაქცია საზოგადოთ არ ღებულობს.

—

მღ. ნ. ბ—ძეს. თქვენი მოთხრობა „დატი" არ იბეჭდება.

—

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბლაღოჩინებს და ხელის მომწერლებს, გამოგვიგზავნონ ამ წლის ხვედრი ფასი გაზ. „შინ. საქმეები"-სა.

—

საჭიროთ ვსთვლით ერთხელ და საბოლოვოთ ვაუწყოთ ბ. ბ. კორრესპონდენტებს, რომ უმარკო წერილს რედაქცია არ ღებულობს და არც დაუსტამბავ ხელნაწერებს ინახავს ორი კვირის შემდეგ. დაწუნებულ ხელნაწერების დაბრუნებას რედაქცია არ ტვირთულობს.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი, **იოსებ ლეჟავა.**

განცხადებანი.

სტამბა „შრომა“

—— დაბა ყვირილაში ——

ყვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმ.

ვბეჭდავთ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშიურებს და ყოველგვარ მოსაწვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათვლისას, სამგლოვიაროსას და სხვ. აგრეთვე კონტორებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნაკებს, კვიტანციებს, იარლიკებს, სადარბაზო ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებლისათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს ვასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით პატივცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: ყვირილა სტამბა „შრომა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზე დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ლეონიდეს** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია, გაზაკოვის ქუჩა № 17.

განცხადება.

თბილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იყიდება არხიმანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ-გამოცემული წიგნები სასულიერო შინაარსისა:

1) კაიაფას ვაჟი შვილი — 50 კ.
2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
3) გზა ცხოვრებისა — — 30 კ.
4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
6) სიკვდილი მართლისა — — 10 კ.
7) ერთი ღამე აკალდამაში — 5 კ.
8) არა კაც კლა — — — 5 კ.
9) კარგი ყველგან კარგია — 10 კ.
10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
11) ცოლ-ქმრობა (საღვთო წერილიდან — — — — — 5 კ.
12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო შკოლებს, როგორც სამრევლოს ისე საერთს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, ეველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. ხოლო წიგნის მაღაზიებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერენ, დავუთმობ 30%, ადრესი: **Черезъ Кутаисъ въ Моцамети. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვებს ჩემგან ჰირდაჰირ გამოწერას, ესთხოვ ადრესი გარკვევით მომწეროს.

„შინაური საქმეები"-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ეველა უწყებები (**ВѢДОМОСТИ**) წლიური საბლადოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „ძმობის" გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწეული 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხეედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ. Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства".

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „შრომა" დაბ ყვირილაში. ● Типографія „Трудъ" въ м. Квирилы.